# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 135

წელიწადი მეორე

1913

ოთხშაბათი, 4 სექტემბერი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

**იმერეთი**

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

**პაროსი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხ რისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.**



## ახალი წიგნის მაღაზია

### კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

# უდიდესი

## წიგნის მაღაზია

### კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამსუბუქოს გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის უფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფათ.



## 1913 წლის 1 ეკენისთვიდან

ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე პროვიზ. ფ. ა. რელიგიონის სახლში, თეთრ ხიდთან გაიხსნება

# პირველი კერძო საავათმყოფო

### სპეციალისტი აქიმების მუდმივი საწოლებით.

საავათმყოფო მოახდენს ანალიზს: შარდისა, ნახველისა, სისხლისა და სხვ. ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა, კონსულტაციურათ 606 და 914 შესხმა. არის განკერძოებული ოთახები მძიმე ავათმყოფთა და მშობიარეთათვის. მუდმივი მორიგეობა აქიმებისა.

დამფუძნებელი აქიმები: { აქ. გ. ა. ჭოდოშვილი, — გ. ს. ნადირაძე, — მ. დ. ბეთანელი, — დ. ი. ჯაფარიძე.



## განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

### ქალთა პროფესიონალურ შკოლაში

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

შკოლის მისამართი: ობორნის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.



## ქუთაისის საფირჩხიის სამზრუნველო

## კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 15 ეკენითვეს, დილით 11 საათზე, ამ სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა:

### საფლავების გაჭრისა, სასაფლაოს დაცვისა და სხვა..

ვაჭრობის დროს საწინდრათ საჭიროა 200 მ. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება ბ. იაკობ გ. ჩიმავაძესთან, სასაზინო პალატაში.



## ახალი უვნებელი საშვალება

## რძე პირისახისათვის „ბ მ ტ ტ ი"

ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სკიდკა. აფთიაქის მაღაზია პ. ა. შავერზოვი.



## აქიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

**ლებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.**

### იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა ტ თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
**ნახველის** (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
**სისხლის** (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
**კუჭის სითხის** (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
**ესკრემენტების** (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
**ჩირქის** (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
**ქალის რძის.**

**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.



## ს.-პეტერბურგელი

### ფორტეპიანოს ამწყობი

## ა. ა. ჩუხნო,

ბათომში 120 სახლში ვიმუშავე. გთხოვთ, ნუ გამრევთ სხვებში, ვინც ჩემს სპეციალურ საქმეზე მუშაობს

**მისამართი:** „გრანდ-ოტელი № 3, ტელ. 93.

(3—1).



მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბაღდანჩიკამისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.



შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.



**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.



**ა ქ ი მ ი** კ. ო. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



## აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.



**აქიმი** კ. ი. **აშიანცი** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. 3 აშიანცის სახლი.**



## ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი 3 ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.



## ქუთაისის ქართულ გიმნაზიის

მერვე კლასის მოსწავლე ვუსწორებ გაკვეთილებს მოსწავლეებს მეოთხე კლასამდი ხელმისაწვდომ ფასში. ვინაობის გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთი"-ს რედაქციის კანტორის გამგესთან.



აქიმი ვ. ი. კავიტელაშვილი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს.

1—15



## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.


## რუსეთის პრესა.

გაზეთ „დენში" ბ-ნი გორიანი ეხება კავკასიაში სამოსამართლო უწყების მდგომარეობასა და აღნიშნავს, რომ თუმცა:

„მიმდინარე წელს 45 წელი სრულდება, რაც კავკასიაში სამოსამართლო დაწესებულებანი გახსნეს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რუსულ იუსტიციას, იმის მაგივრათ, რომ ნიადაგი მოეპოებია და ანტიპატიის მეტი არა დაუმსახურებია რა კავკასიელებისგან. რადგან:

„კავკასიაში სამოსამართლო რეფორმათა შემოღება ძალიან დაშორებულია საერთო რუსთა სამოსამართლო რეფორმებისგან: პირველ ყოვლისა კავკასიის სასამართლო მოკლებული იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს და შემდეგ მაშინდელი მეფის მოადგილის სურვილის წინააღმდეგ, საქმის წარმოება ხდება კავკასიის მკვიდრთა უმეტესობისთვის უცნობსა და გაუგებარ რუსულ ენაზე.

ავტორის აზრით, როგორ შეიძლებოდა რაიმე თანაგრძნობა ან ნდობა დაემსახურებია სასამართლოს მაშინ, როცა

„კავკასიაში რუსული სასამართლოს მისია ადგილობრივი ზნე-ჩვეულებისა და ნაციონალური თვითშეგნების წინაალმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა და კავკასიის მოსამართლეებს ნათლათ აგებინებდენ, რომ ისინი მოწვეულნი იყვენ „რუსული სუდის“ შესაქმნელათ, რაიც თანამედროვე ნაციონალისტური კურსის დროს იმას ნიშნავდა, რომ კავკასიის მკვიდრთათვის „შეღავათი“ არ მიეცათ.

შემდეგ ავტორს ბევრი მაგალითები მოყავს კავკასიაში სასამართლოთა უმწეო მდგომარეობის დასახასიათებლათ, იგი ეხება „გარუსების“ პოლიტიკის ხელმძღვანელთა უკუღმართ მოქმედებას და აღნიშნავს, რომ:

„კავკასიის მკვიდრი სასამართლოს ისე უყურებს, როგორც დასასჯელს იარაღსა და არა კანონიერების დამცველს“.

# ახალი ამბავი.

ქუთაისის ქართული გიმნაზია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მეორე გილდის ვაჭრის ფიფიანაშვილის ქვრივს, დუჩაიძის ასულს, განსვენებულ ეკატერინეს, გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ შეუწირავს ხუთი თუმანი. ყოველი ამგვარი ქველმოქმედება ფრიად საყურადღებო და მისაბაძავი საქმეა.

✦ თფილისს ესტუმრენ გერმანელი მეურნენი, რომელთაც 1 ეკენისთვეს დაუთვალიერებიათ ბატანიკური ბაღი, კავკ. სააბრეშუმო სადგური, შინა მრეწველობის მუზეუმი და ქალაქის ძველი და ახალი სასალახოები.

✦ სოფ. წყალტუბოში წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილების სამკითხველოების მეთვალყურის დოლაბერიძის თანადასწრებით აკურთხეს აკაკის სახელის სამკითხველო.

✦ კავკ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. ი. ცინცაძე (ია ეკალაძე) დაამტკიცა ქართული ენის მასწავლებლათ ქუთ. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში.

✦ ბალახვანის ქუჩის მცხოვრებთაგან და ამ ქუჩით გამვლელთაგან საჩივარი გვესმის ქვაფენილის ქვემოდან (ნარვლიდან) მომშხამველი სუნი ამოდისო.

✦ საფიჩხიის ეკლესიის გალავანში ყოველ დღე და განსაკუთრებით კი კვირა—უქმებში შეიკრიბება 20—30 ახალგაზდა, ცოლშვილიანებიც ურევიან და ბანქოსა და ნარდს თამაშობენო.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ვაჭრებს ვ. კუპრაშვილსა და ა. კვიცარიძეს სანიტარული წესების დარღვევისათვის.

✦ რედაქციამ მიიღო ქ. შ. წ. კ. გ' საზოგადოების მიერ გამოცემული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „Руское слово“-ს მეორე ნაწილი შევსებული და შესწორებული. წიგნი მე—16 გამოცემაა და ღირს 10 შაურათ.

✦ რედაქციაში შემოვიდა ელისაბედ სტურუას ასული და განაცხადა, რომ ცხრა წელიწადი გადის, რაც გადაიკარგა მეუღლე ჩემი ერასტი ბეჟანისძე ნინუა, შეიძლება ვინმემ იცოდეს რამე მის შესახებ და გვაცნობოს დ. სამტრედიაშიო.

✦ რედაქციამ მიიღო სახაზინო აგრონომის ბ. ვასილიევისაგან „ანკეტა სანერგეებსა და ბაღების შესახებ ამიერ კავკასიის დასავლეთ ნაწილში“, თარგმანსაც ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნუმერში მოვათავსებთ.

✦ ერთდროული დახმარებისა და სტიპენდიათა განმანაწილებელი კომისიისა და საბჭოს შეერთებული კრება 12 სეკტემბერს მოხდება.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლათა ახალმა დერეკტორმა ჭიათურის სამოქალაქო შკოლის ინსპეკტორათ დაამტკიცა საბჭოს მიერ არჩეული გიორგი ხოშტარია. დირეკტორმავე დაამტკიცა ხსენებული სასწავლებლის მასწავლებლებათ ნაზაროვისა და ბაქრაძის ასულნი.

✦ სახალხო შკოლათა დირეკტორმა დაამტკიცა საბჭოს მიერ არჩეული ჭიათურის უმაღლესი პირველდაწყებითი საქალებო შკოლის მასწავლებლები.

✦ საბჭოს მორიგი კრება ექნება 17 სეკტემბერს დ. ჭიათურაში.

✦ მსახიობი ვ. არაბიძე სოხუმში მიიწვიეს რეჟისორათა და მსახიობათ.

✦ ჭიათურის დრ. საზ. გამგეობამ დასში მიიწვია ქ. ქ. ა. ლოლუასა და მ. ქილარჯიშვილის ასულნი რეჟისორათ კ. ანდრონიკაშვილი და მსახიობებათ ა. მურუსიძე და აბდუშელი.

✦ 28 აგვისტოს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია შ. ჩიკვაიძისა და ე. მაჭავარიანის საქმე, რომელთაც თავდასხმა ბრალდებოდათ. ორივეს სასამართლომ 15-15 წლის კატორგა გადაუწყვიტა. ამას გარდა ჩიკვინიძეს მეორე საქმისთვის 20 წლის კატორგა აქვს მისჯილი.

✦ სოფ. სადემეტრაოში, 24 აგვისტოს მეხი დაეცა ერემია მეფარიშვილის სახლს. მეხმა მეფარიშვილის ქალი იმსხვერპლა.

✦ 26 აგვისტოს ქუთაისის ოლქის სასამართლომ მ. გვინცაძეს 8 წლის კატორგა გადაუწყვიტა ნებიერიძის დაჭრისთვის.

## ერთი ნიმუშიც.

თუ რა ღირსებისაა „განთიადში“ მოთავსებული პროტესტები, ეს ნათლად გამოირკვა მათ მოწინაალმდეგეთა მიერ გამოქვეყნებული მაგალითებით. საჭიროთ მიმაჩნია ერთი ფაქტის აღნიშვნაც, საიდანაც მკითხველი დაინახავს, თუ რა საშვალებით, როგორ აწერიებენ საპროტესტო და საადრესო წერილებზე ხელს. საქმე პეტერბურგში მოხდა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე (როგორც მახსოვს—28 ნოემბერი უნდა ყოფილიყო) პსიქიანევროლოგიურ ინსტიტუტში ამავე ინსტიტუტის ერთმა ქართველმა სტუდენტმა (ნიკოლოზ კანდელაკმა) მოიტანა რუსულად დაწერილი საადრესო ბარათი სახ. სათ. ქართველ სოც.-დემოკრატ. დეპუტატთა მიმართ. წერილის ავტორნი მიმართავდენ თავიანთ დეპუტატებს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველ სტუდენტების სახელით და სხვა ხოტბა-შესხმასთან ერთათ იხსენებდნენ მათ „დაუფასებელ ღვაწლს სამშობლოსა და ქართველი ერის წინაშე“. ამასთანავე გამოსთქვამდენ თავიანთ ულრმეს მწუხარებას, რომ მათ რიგს გამოაკლდა ისეთი „მედგარი მებრძოლი“, როგორიც იყო სახ. სათათბიროში ევგენი გეგეჭკორი. ისე მოხერხებულათ იყო წერილის შინაარსი შედგენილი, რომ უცებ, ერთის თვალის გადავლებით, წამკითხველი ვერც კი გაარჩევდა ნამდვილს შინაარსს ჩაუკვირებლათ. ამიტომ ყოველი ქართველი სტუდენტი, რაკი გაიგებდა, რომ ადრესი მიმართულია ვითომ ყველა ქართველ დეპუტატებისადმი მათ მიმართულებათა განურჩევლად, აღარ შეუდგებოდა მის კვლევაძიებას და საჩქაროთ მოაწერდა ხელს. ამითაც არ დაკმაყოფილდენ მეადრესები და რუს სტუდენტებსაც კი აწერიებდენ ხელს სიის გასადიდებლათ. ერთ რუს ს.-დ. სტუდენტს (გვარათ სოკოლოვსკის, რომელსაც ქართველობის სრულებით არა სცხია რა) ამ სიაზე მოეწერა გორძავიძის გვარი. როცა იქვე მყოფმა არა სოც.-დემ. ქართველმა სტუდენტებმა შენიშნეს: რათ აწერთ ხელს, თქვენ ხომ ქართველი არა ხართო,—მან მიუგო:—მე თანავუგრძნობ ამ წერილის შინაარსს, და რატომ არ უნდა მოვაწეროო. მას უთხრეს: ადრესი ქართველი სტუდენტების მიერ „მიერთმევათ“ და მერე—თუ თქვენ თანაუგრძნობთ, მაშინ თქვენი გვარი უნდა მოგეწერათ და არა ვიღაც გორძავიძისაო. ასეთი მისი საქციელი იქვე დაგმო ქართველი სტუდენტების უმრავლესობამ. და ის სოკოლოვსკი და ადრესის დამტარებელიც შეარცხვინეს... მარა განა ისენი აბრუს გაიტეხენ! მათმა ასეთმა საქციელმა საბუთი მისცა სტუდენტს ლ. ბაქრაძეს სიიდან თავისი გვარი ამოეშალა და როცა შეეკითხენ—რატომ მოაწერე ადრესზე ხელი წაუკითხავათო, მან უპასუხა—ადრესი გადავათვალიერე, დაკვირვებით კი არ წამიკითხავს, მაგათ კეთილსინდისიერებას ვენდეო. ასე იქცევიან უმეტეს შემთხვევაში ჩვენი „მეპროტესტეები“. თუ მათ სტუდენტობა შეყავთ ასეთს შეცდომაში, რაღა მოეთხოვება იმ შეუგნებელსა დახშირათ წერა-კითხვის უცოდინარ მუშას, რომელიც ასე ადვილათ აცხადებს სურვილს პროტესტანტობისას. ბევრი სოკოლოვსკებისთანა უსინდისობასაკ არ ერიდება.

ვფიქრობ, თუ საჭირო იქნება, თვით ლევან ბაქრაძე და სხვა იქ დამსწრე სტუდენტებიც დაამოწმებენ აქ აღნიშნული ფაქტის სინამდვილეს.

ერთი დამსწრეთაგანი.

## დღიური.

იაპონიასა და ჩინეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა და ომის გამოცხადებას დღე-დღეზე მოელიან.

— ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის მოლაპარაკება დასრულდა.

— ოსმალოს სომხეთში რეფორმების განხორციელებაზე, ოსმალეთმა უარი სთქვა.

— ოსმალეთი დიდი სახელმწიფოებისათვის წასადგენ ნოტას ამუშავებს.

— სერბიელებმა დიაკოვოში ალბანელთა და მალისორთა ხუთი ბელადი დასაჯეს.

— იაპონიაში დიდი არეულობა[...] ხი მიტინგებს ახდენს და ჩინე[...] ნაალმდეგ პროტესტს აცხადებს.

— სალარ-უდ-დოულე შეე[...] დის. —

— ჩინეთის საზღვრებზე იაპონ[...] რი დააბანაკა.

— იაპონიაში სამხედრო მობილ[...] მოხდენას შეუდგენ.

— ოსმალეთმა საფრანგეთის ბ[...] გან ფული ისესხა.

## ხმა მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტი).

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზდა სტუდენტობის ჩარიცხვა და მისაღები გამოცდანი დასრულდა.

**უნივერსიტეტში.** თხოვნა 2150 კაცს შეუტანია, 1850 კაცი მიუღიათ, 300 თვის უარი უთქვამთ.

**კომერციული ინსტიტუტში.** 3726 მთხოვნელებისაგან მხოლოდ 1388 კაცი მიუღიათ, 2338-სთვის უარი უთქვამთ.

**ტეხნიკურ სასწავლებელში** 700 მთხოვნელისაგან, მხოლოდ 269 კაცი მიუღიათ 431 სთვის უარი უთქვამთ.

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში** 628 მთხოვნელი ყოფილა, 180 კაცი მ[...] 448-სთვის უარი უთქვამთ.

**სამიჯნო ინსტიტუტში** 316 მ[...] ნისაგან 150 კაცი მიუღიათ, 16[...] უარი უთქვამთ.

**ლაზარევის ინსტიტუტში** 50 კაც[...] ღიათ.

**ქალების უმაღლეს კურსებში** 3196 [...] ვნელი ყოფილა, 1634 კაცი მი[...] ხოლო 1562-სთვის უარი უთქვამთ.

**ქალების უმაღლეს სასოფლო სამ[...] კურსებში** 900 მთხოვნელისაგან 800 [...] ღიათ, 100 უარი უთქვამთ.

ამ რიგათ, 6311 კაცი მიუღია[...] ლო 5179-სთვის უარი უთქვამთ.

ენ—[...]

## სამტრედიის საკრედიტო ამხანაგობის ირგვლივ.

დიდი ხანი არ არის მას შემდე[...] დ. სამტრედიაში ბათომის წვრილი[...] დიტის ინსპექციამ ადგილობრივი[...] ლი გლეხებისა და მოხელეების თხ[...] თანახმათ საკრედიტო ამხანაგობა[...] აარსა დღეს ყველასათვის ცხადი[...] იყოს ის, თუ რა დიდი ეკონო[...] მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის[...] სული მეურნეობის და ხელოსნ[...] აღორძინებისათვის ასეთ დაწესებუ[...] თუ, რასაკვირველია, იგი თავის[...] ნულებას პირნათლად შეასრულებს[...] რებს შესაფერ დახმარებას—სესხს[...] დის საღავათიანი პირობებით და[...] სხვა გვარი ოპერაციებით დახ[...] გაუწევს ხელმოკლე მეურნეს, რომ[...] ხელმოკლეობის გამო ვერ მოუხე[...] საქმე ჯეროვან ნიადაგზე დაყენოს. [...] ავნიშნოთ ის, რომ ზემოხსენებულ[...] ხანაგობამ გახსნისათანავე მიიღო [...] ვადიანი სესხიც ბათომის სახელ[...] ბანკის განყოფილებიდან.

ყოველი დაწესებულების საქმის კ[...]

---

## მამა-კაცისა და დედა-კაცის შეუღლება

### მეცნიერების მხრით.

(სამეცნიერო წერილი)

*ყოველი მზგავსი მზგავსსა შობს— ესე ბრძენთაგან თქმულია.*

ყოველი სულიერი არსების დანიშნულება ქვეყნად ის არის, რომ შექმნას თავისივე მზგავსი არსება და მით უკვდავ ყოს თავისი მოდგმა.

ბუნებას მუდმივ სახეში აქვს სარგებლობა მთელის მოდგმისა და არა კერძო არსებისა — ინდივიდისა. სიცოცხლის ხანგძლივობის განაწილებაც სულიერ არსებათა შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო და ხანი უნდა ამა თუ იმ ცხოველს, რომ შესძლოს თავისი უმთავრესი ბუნებრივი დანიშნულება ქვეყნად შეასრულოს—ესე იგი შექმნას რაც შეიძლება მეტი თავისივე მზგავსი არსება მოდგმის გასაძლიერებლათ. ინდივიდი მომაკვდავია, ხოლო მოდგმა კი უკვდავია.

ყოველი ცხოველის, აგრეთვე ადამიანის სხეულის ის უჯრედები ექვემდებარება სიკვდილს, რაც ინდივიდის სიცოცხლისთვის არის საჭირო, ხოლო ის უჯრედები კი, რომელიც ასეთია გამრავლებისთვის არის დანიშნული—მამრობითი და დედრობითი სქესური უჯრედები—უკვდავია.

მამრობითი და დედრობითი სქესური უჯრედების შეერთებით წარმოსდგება ახალი არსება; ამ გვარათ კერძო პირი კვდება, მაგრამ მოდგმა—სახე კი უკვდავია; ყოველი ადამიანი მომაკვდავია, ხოლო კაცობრიობა უკვდავია.

მამა-კაცისა და დედაკაცის შეუღლება ანუ კავშირი წარმოსდგება იმ ბუნებრივის მისწრაფებისაგან, რომელსაც ერთი სქესი მეორე სქესის წარმომადგენლის მიმართ გრძნობს. ეს სქესური მისწრაფება საერთოა როგორც ადამიანისა, ისე ყველა სულიერ არსებისათვის. ამ ბუნებრივის გრძნობით გატაცებული სულიერი არსება მიესწრაფვის მოსძებნოს და დაუკავშირდეს თავის გვარსავე მეორე სქესის არსებას.

ეს ლტოლვილება რის უდიდესი ბუნებრივი გრძნობა, ამ გრძნობაზეა დამყარებული ბუნებაში სახეთა და მოდგმათა უკვდავება—ამიტომაც მამა-კაცის და დედა-კაცის შეუღლებას ჩვენ უნდა ვსთვლიდეთ არა როგორც მარტო გრძნობათა დაკმაყოფილებათ, არამედ ერთ დიად ბუნებრივ მოვალეობათ კაცობრიობის წინაშე. ამიტომაა, რომ მეცნიერება ამ კავშირს ასე სერიოზულ აქტათ სთვლის, იმდენათ, რომ ზოგიერთ მეცნიერთა აზრი სიმკაცრემდისაც კი მიდის. აი ნიმუში ამისაც:

ვისაც არა აქვს ღონისძიება თავის შვილებს სიღარიბე ააცდინოს ცოლი არ შეირთოსო—ამბობს დარვინი—რადგან ასე დაუფიქრებლათ ცოლის შერთვით უფრო მეტათ ვრცელდება სიღარიბე, რომელიც უმთავრესი მიზეზია ყოველი ბოროტებისაო; მეორე მხრით თუ ნიჭიერნი და წინდახედულნი კაცნი უნაყოფონი დარჩებიან, ხოლო უნიჭონი და ღარიბნი კი შეირთავენ ცოლებს და გამრავლდებიან, ამით ნიჭიერნი განდევნილ იქნებიან უნიჭოთა უმრავლესობითაო.

ადამიანმა, როგორც სხვა დანარჩენმა სულიერმა არსებამ, დარვინის მოძღვრებით თავის განვითარებას მიაღწია არსებობის ბრძოლით, რომელიც წარმოსდგა მსწრაფლ გამრავლებისაგან; თუ რომ ადამიანს სურს უფრო მეტი წინსვლა, მუდმივ არსებობის ბძოლაში უნდა იმყოფებოდეს, ადამიანთა შორის მუდმივ ცილობა უნდა იყოს, და გამარჯვება ნიჭიერთა და მათ შთამომავლობას უნდა დარჩესო.

ამგვარივე აზრი წარმოსთქვა დარვინის ნიჭიერმა თანამოაზრემ ჰეკკელმა. ეს მეცნიერი ამტკიცებს, რომ სულიერთა და მცენარეთა შორის მხოლოდ მცირე რიცხვი უძლებს სავსებით არსებობის ბძოლას, უმრავლესობას კი არა აქვს საკმარისი ძალღონე და ადრე თუ გვიან იღუპება. მკაცრი და ულმობელი ბძოლაა არსებობისთვის ქვეყნად, ამას ვერავინ უარყოფს, სააქაო მეჯლისზე წვეულნი ბევრნი არიან, ხოლო ღირსეულნი კი ძლიერ მცირეო.

დღეს ამგვარ მეცნიერულ აზრებს ისეთი ძალა აღარ უნდა ქონდეს როგორც წინათ.

მეცნიერი უელესის აზრით, როდესაც სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მეტი სიმართლე და თანასწორობა ჩამოვარდება კლასთა შორის, მაშინ ბძოლაც ადამიანთა შორისაც უფრო წესიერიც იქნება, მაშასადამე სიღარიბეც სრულებით არ იქნება დამაბრკოლებელი მიზეზი მამა-კაცის და დედა კაცის შეუღლებისათვის, თუ რომ ისინი საღი აგებულებისა იქნებიან. სიღარიბე კი არა, ავათმყოფობა, ფიზიკურათ და გონებრივათ გადაგვარება უნდა შეადგენდეს ამ კავშირის დაუძლეველ დაბრკოლებას,

შეუღლება უნდა მოხდეს ისეთ მამაკაცსა და დედა-კაცს შუა, რომელნიც სრულებით საღი არიან როგორც ფიზიკურათ ისე სულიერათ, ერთი სიტყვით უნდა იყვნენ ისეთები, რომ შექმნან ყოველი მხრით ძლიერი შთამომავლობა, რომელსაც შეეძლოს არსებობის ბრძოლის გაძლოლა. მართლაც, ადამიანი დაიბადება თუ არა, განუწყვეტელ ბძოლაშია არსებობისათვის, მხოლოდ სიკვდილი უდებს ბოლოს ამ ბრძოლას. მაგრამ ამ ბრძოლაში უფრო უსაშინელესია ბრძოლა სხვადასხვა გვარ ავათმყოფობასთან, რომელიც უშხამავენ ადამიანს სხეულს და უმოკლებენ სიცოცხლეს.

ხოლო ავათმყოფ ცოლ ქმარს კი ავათმყოფი შვილები ყავს, ვინაიდან ხშირად სხვადასხვაგვარი ავათმყოფობა, სხეულისა და სულის სიძაბუნე მემკვიდრეობით შთამომავლობაზე გადადის.

როგორც სხვა მრავალ ავათმყოფობას, მაგალითად—სიქლექეს, სიფილისს და სხვა, აგრეთვე სულით ავათმყოფობასაც მედიცინამ სათავეში მემკვიდრეობა უპოვა. ამასვე ამბობდა მედიცინის მამა ჰიპოკრატი. ახლა რასაკვირველია, არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ასეა. დღეს არამც თუ მემკვიდრეობის ძლიერი გავლენა დამტკიცდა, არამედ ამ ფაქტორს უპირველესი ადგილი მისცეს სხვა ფაქტორთა შორის.

დედმამის ხორციელი და სულიერი თვისებანი მემკვიდრეობით აჩნდებათ შვილებს—ასეთია ბიოლოგიური კანონი. მამებმა მჟავეს სჭამენ და შვილებს კბილები აქვთ მოკვეთილიო, იტყოდენ ძველათ ებრაელნი; ხოლო ჩვენმა ხალხმა კი სთქვა: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. ერთს დაყვება შეურყეველი სისწორე სულის, განწყობილება ხასიათისა, ფიზიკური სიძლიერი ამტანი ყოველგვარი ცუდი გარემოებისა, ხოლო მეორეს კი იმგვარი სულის სიმსუბუქე, რომ ცოტა რამაა საჭირო მისი შერყევისათვის, ან და ისეთი ფიზიკური სენი, რომლითაც აღჭურვილი იყვნენ მისი წინაპრები.

შეიძლება, საღი დედ-მამის შვილი სხვადასხვა ცუდი გარემოების გავლენი[...] ლური შეიქმნეს, მაგრამ ის კი იშვ[...] მოხდება, რომ ჭირიან და სულით [...] ვადებულ დედმამის შთამომავალი [...] ლებით საღი გამოვიდეს, იმას თუ[...] უწია დედმამის ცოდვამ, მის შვილ[...] შვილისშვილს მაინც გამოაჩნდება.

ნერვების სისუსტე, ბნედა, ისტ[...] სხვადასხვაგვარი სულით ავათმყოფ[...] ლოთობა, მემკვიდრეობით გადამ[...] ფიზიკური ავათმყოფობანი ეს ის გ[...] რომლითაც აღჭურვილი იყვნენ [...] და გადაგვარებულის არსების მამა-პა[...] საკმარისია, მამა მხოლოდ პირვე[...] მეს დაითვრეს, რომ შვილი ლენჩ[...] სულით ავათმყოფი გამოვიდეს. ხანშ[...] სულ ცოლქმარს ხშირად ან ჭკუანა[...] ბი ან სულით და ფიზიკურათ გადაგ[...] ბული შვილები უჩნდება.

როგორა სწარმოებს სახელდობრ [...] ნიშნობლივ ეგ მემკვიდრეობის კან[...] ჯერ მედიცინაში რიგიანათ გამოკვლ[...] ლი არ არის. არსებობს მოსაზრება, მემკვიდრეობა გამოიხატვის ორგან[...] მავლინებაში იმ ელემენტებში, რო[...] ბისაგან შესდგება ადამიანის ტვინი[...] სხეული. მეტი არ იქნება მოვაგ[...] მკითხველს მემკვიდრეობის კანონები[...]

ა. პირდაპირი მემკვიდრეობა, რო[...] დედმამა თანასწორათ გადასცემს [...] შთამომავლობას თავის უმთავრეს [...] სებათ.

ბ. მემკვიდრეობა უპირატესობის, [...] დესაც მამა გადასცემს თვის თვი[...] ვაჟს და დედაქალს; ან მამა ქალს [...] დედავაჟს.

გ. მემკვიდრეობა—უკუმოქცევითი—[...] ვიზმი, როდესაც მამის თვისებანი შ[...] ზე კი არ გადადის, არამედ შვილი[...] ზე, ასე რომ შვილიშვილი უბრუ[...] პაპის თვისებას.

მოგვარიანება და გაძღოლა, ცხადია, დამოკიდებულია მართველ ორგანოზე—გამგეობაზე. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ხშირათ ხდება ის, რომ ამორჩეული პირი მინდობილ საქმეს ღალატობს: თავის მრუდე და უადგილო მოქმედებით ძირს უთხრის ასეთ სიმპატიურ დაწესებულებას და მოპოვებულ ნდობას უკარგავს საზოგადოების წინაშე. ეს თავის თავათ სამწუხაროა, და ეს მწუხარება ორკეცდება მაშინ, როცა ასეთი პირის საზიანო მოქმედება დროზე არ იქნება შემჩნეული და შეჩერებული, ის ამით სარგებლობს და თავის „ქუჰყიანი" ხელებით უტიფრათ განაგრძობს დაწესებულების საქმეების გა'ავრა'ს და საუკუნოთ დასაფლავებას.

როგორც ამ ბოლო დროს ბევრი გავრცელდა დ. სამტრედიაში, ერთ მავნე წევრს დაუბუნაგებია ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობაში. არ ვიცი, ვისი მეოხებით და რა მოსაზრებით ამ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავჯდომარეთ არჩეული ყოფილა დ. სამტრედიაში ყველასაგან ცნობილი „მოღვაწე" გრ. ურუშაძე, რომელიც ასრულებს საქმის მწარმოებლის თანამდებობას ამ დაწესებულებაში.

მას სრული დამოუკიდებლობა მიუნიჭებია თავის მოქმედებისათვის და ამხანაგობის მართვა გამგეობის საკითხების წინასწარ განხილვაში არავის მონაწილეობას არ ალებიებს და ამით ალბათ სურს თავის ნამოქმედარს უჩინ მაჩინის ქუდი ჩამოაცვას.—ყოველი შეგნებული ადამიანისათვის ძლიერ სასურველი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ხმები არ გამართლებულიყო, მაგრამ ამ დაწესებულების კეთილდღეობის საზიანოთ ამ ხმების სინამდვილე დაამოწმეს სხვა თანამდებობის პირებმაც; საბჭოს წევრმა დ. კანდელაკმა, გამგეობის წევრებმა: კოპალეიშვილმა, გელაზანიამ და სხვ. ბოროტ-მოქმედებამ და სიყალბემაც იჩინა თავი. დავთარში ამოფხეკა ციფირების გადასწორება ამოჩნდა, ერთი სიტყვით გამეორდა ის ამბავი, რაც ქუთაისის ხელს. წვრ. კრედ. ბანკში.

ეს სიყალბე თავის დროზე შევიტყვეთ და საბჭომ შესაფერი ოქმიც შეუდგინა, რომელიც მიკერებულია საკრედიტო ამხანაგობის საქმეში. ურუშაძე დანარჩენ გამგეობის წევრებს სხვადასხვა ხელის შეშლით ნებას არ გვაძლევდა მისი ნამოქმედარისთვის თვალყური ნათლათ გვედევნებია, რადგან ჩვენ მისი უკანონო მოქმედების მოწინააღმდეგენი ვართ და ვიყავითო. ბოლო დროს კი განიზრახა ჩვენი (გამგეობის წევრების) თავიდან ჩამოშორება, რისთვისაც 25 აგვისტოს თავის ნებით, წესდების წინააღმდეგ მოიწვია არაჩვეულებრივი საზოგადო კრება; კრების მოწვევა არ ვიცოდით არც ჩვენ და არც საბჭომ, გრ. ურუშაძის ინიციატივით მოწვეული კრების შემადგენლობაც უკანონო იყო, რადგან მისგან წამოყენებული საკითხების გარჩევის დროს მონაწილეობას იღებდენ გარეშე პირნი (არა წევრები)—მისი „დამქაშები". ბ-ნმა ურუშაძემ სრულიად უადგილოთ ჩვენი მოქმედების შესახებ ყალბი მოხსენება წარუდგინა არაჩვეულებრივ კრებასა და შეცთომაში შეიყვანა; ამით უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენ, წესდების ძალით 3 წლით არჩეულნი, გამოგვცვალეს. კრების მოწვევისა და მისი გასარჩევი საკითხები წინდაწინ არ ყოფილა ჩვენი თანდასწრებით განხილული და დამტკიცებული და სხვ. ამ უკანონო გადაწყვეტილებას არაჩვეულებრივი კრებისას არ ვემორჩილებით და ვრცელ წერილობით განცხადებას ვუდგენთ ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგეს, სადაც აწერილია გრ. ურუშაძის უკანონო მოქმედება და ვსთხოვთ გამგეს დაუყონებლივ დანიშნოს მთავრობის რევიზია, რომელიც უფრო ნათლათ გამოარკვევს სა მის ნამდვილ ვითარებასაო.

„მე ვარ".

1 სეკტემბერი 1913 წ.

# მშრომელ ხალხი.

**მუშათა სოფლები.** პეტერბურგის მუშათა ზოგიერთ ორგანიზაციაში დაიბადა აზრი სპეციალურათ მუშებით დასახლებული სოფლები მოაწყონ. ეს აზრი მათში დაბადა ცხოვრების გაძვირებამ. პეტერბურგის მუშათა ყოველი ორგანიზაცია თავის წრიდან გამოყოფს რამდენიმე პირს, რომელნიც ამ საქმის მომწყობ კომიტეტში შევლენ. საჭირო ფული მუშათა ორგანიზაციებში უნდა შეგროვდეს. აგრეთვე მუშებმა უნდა გაიღონ თავისი ჯამაგირიდან მცირე პროცენტი.

**რეზოლუცია.** პეტერბურგის ლითონის ქარხნის მუშებსა და ადმინისტრაციას შორის უთანხმოება მოხდა. მუშებმა ამის შესახებ კრება გამართეს და რეზოლუცია გამოიტანეს. რეზოლუცია ოთხი მუხლისგან შესდგება. ადმინისტრაციის არაკულტურული მოქმედება სასტიკათ გაკიცხეს.

# უცხოეთი.

**ჩინეთი და იაპონია.** ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა პეკინში იაპონიის ელჩი ინახულა და სამ საათს ელაპარაკა. ჩინეთის მთავრობა აცხადებს: ნანკინში იაპონელების ამოწყვეტა ჩვენი ბრალი არ არის. ისინი სროლის დროს აკრძალულ ადგილას იმყოფებოდენო. გარდა ამისა იაპონელები მოკლეს არა ჩვენმა ჯარისკაცებმა, არამედ მცარცველებმაო; იაპონიამ ჩინეთს მოთხოვნილება წარუდგინა და იმუქრებიან—თუ ეს მოთხოვნილება არ დაგვიკმაყოფილეთ ძალას ვიხმართო. ნანკინში სამი იაპონიის კრეისერი და ერთი ნაღმიანი გემი მივიდა. ჩინეთის ორივე პალატამ გადასწყვიტა კონსტიტუციის დედნის შემუშავებამდი პრეზიდენტი აირჩიონ. იაპონელებმა ტოკიოში მოკლეს დიპლომატიური სამართველოს მოხელე აბი. აბი ჩინელია და მისმა მკვლელმა განაცხადა სამაგიერო უნდა მივუზღოთ ჩინელებსო.

# მგზავრის შენიშვნები.

ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში რომელ მხარესაც უნდა დაუკვირდე თითქმის ყველგან მშვენიერებას შენიშნავ და ბუნებისგან მინიჭებული სილამაზით დამატკბობელ შთაბეჭდილებას განიცდი. ავიღოთ თუნდა ბორჯომის მხარე და გადავავლოთ თვალი რა სურათს წარმოადგენს ზაფხულობით ეს არემარე და იქ ცხოვრება.

შემთხვევა მქონდა წელს რამდენიმე დღით გამევლო და სიამოვნება მიმეღო ამ ძვირფასი ადგილების ნახვით. მსურს, მკითხველო, ჩემი შთაბეჭდილება შენც გაგიზიარო, რადგან ჩემს გარდა სხვაც ბევრია საგარაკოთ სიარულს მოკლებული და ამიტომ ბევრ მკითხველს, დარწმუნებული ვარ, ჯერ არ ექნება ნახული ეს ადგილები.

ხაშურიდან ტრიამელ ველზე დაეშვა მატარებელი და ცოტახანს შემდეგ მივუახლოვდით მაღალ მთას, რომლის ძირზეც მდებარეობს ლამაზი, კოხტა სოფელი ქვიშხეთი. „აი პირველი საგარაკო ადგილი—სოფელი ქვიშხეთიო", წამოიძახა ჩემმა თანამგზავრმა. ქვიშხეთის გაგონებაზე უცებ აღმეძრა ხსოვნა დიდებული მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანისა და მოუთმენლათ ვატრიალებდი თვალებს, რომ დამენახა ის ისტორიული სახლი, სადაც ირწეოდა ბედნიერი აკვანი ძვირფასი ადამიანისა, რომელმაც თავისი პირნათელი მოღვაწეობით უკვდავყო თავისი სახელიცა და სახელი თავისი სოფლისაც.

მიმითითეს ერთ ძველ სამოსახლოზე, რომელიც მხოლოდ მით არის ძვირფასი, რომ იქ დიდებული ოჯახის კერა ყოფილა, თვარა დღეს იმ სამოსახლოს სილამაზითა და მოწყობილობით სხვები სჯობია.

სოფელი ქვიშხეთი მაღალი მთის კალთაზეა გაშლილი. ლამაზი მდებარეობა, წმინდა მთის ჰაერი და დასამხრისი გზები ბევრ მოაგარაკეს იზიდავს ქვიშხეთისკენ.

ქვიშხეთიდან იწყება ორ მთა შუა მიმავალი ბორჯომის ხეობის გზა, რომელსაც მისდევს რკინის გზის ლიანდაგი. აქიდან იწყება მთის ერთი დიდი ნაწილი, რომელიც სამოცი ვერსის სიგძეზეა გაჭიმული; ეს მთა ერთ დროს თურმე ავალიშვილების საკუთრებას შეადგენდა და შემდეგ სახელმწიფოთ შერიცხა, ბოლოს კი დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზისძეს ებოძა მეფისგანა და დღესაც ამისი მემკვიდრეების მფლობელობასა და გამგეობაშია. დღეს ეს მთა საგარაკო ბინებით არის გადაქცეული და ამიტომ ბუნებრივ უხვ მშვენიერებას, ბევრი რამ ხელოვნურიც შემატებია, რადგან თვით მთავრისთვისაც სასახლეები და ბაღები გაშენებული და სხვებისთვისაც ბევრი საგარაკო ბინებია მორთული.

უმთავრესი საგარაკო ადგილი ბორჯომია.

ბორჯომი პატარა ქალაქია, სადაც რამდენიმე ათასი სული მუდმივ მცხოვრებლათ ითვლება და ზაფხულობით ხომ მოაგარაკეთა რიცხვი ყოველწლობით იზრდება. საცხოვრებელი ბინები ქალაქის გემოზეა მოწყობილი, ისე რომ ბორჯომი უფრო იმათთვის არის გამზადებული, ვინც ზაფხულობითაც ვერ შელევია ბაზრულ ცხოვრებასა და ქალაქში დარჩება თუ საგარაკოთ წავა ერთგვარი კომფორტი უნდა თან სდევდეს.

მართლაც ასეთი საზოგადოება იკრიბება ბორჯომში საზაფხულოთ. დილის 8 საათი იყო ბორჯომში შევედი და მარტო მუშა ხალხი და მოვაჭრეები იყვენ ამდგარი, მოაგარაკეთა ბინები კი ფანჯრებ ჩაკეტილი იყო და სახლების აივანზე ადამიანი არ ჩანდა, ალბათ იმისი მიზეზი იყო, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ცხოვრების წესათ აქვს დადებული გვიან ადგომა და მათ მზის ამოსვლამდი გარეთ გამოსვლა დანაშაულობათ მიაჩნიათ. ორი საათის განმავლობაში იქვე მდებარე მთაში დავიარებოდი და ერთი ადამიანიც არ მინახავს, გარდა იმ პირებისა, რომელთანაც მე ვიყავი და ორი სამი მეხრე მუშისა; ალბათ ეს სასეირნო გზატკეცილები და მოწყობილი სკამები მხოლოდ შუადღისას და საღამობით სჭირდებათ მოაგარაკე სტუმრებს.

ეს არც მიკვირს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი მხოლოდ ერთგვარი წესიერების დასაცავათ და ჩვეულების ზეგავლენით მიდის საგარაკოთ, თვარა საჭიროებასა და სიამოვნებას ვერც კი გრძნობს. მეთერთმეტე საათი იყო, რომ მთიდან ძირს ჩამოვედი და ბაღში—მჟავე წყლის სათავისკენ გავეშურე. ბაღში თანდათან გამოდიოდა ხალხი მოკაზმული, გამოწყობილ-გამოჯკიმული, არაფერი ტუალეტის სამკაული მათ არ აკლდათ. თავისუფლათ ჩაცმა და უბრალოთ გასვლა-გამოსვლა იქაურ მოაგარაკეთ, სჩანს არაფრათ მოსწონთ.

ბაღები ძვირფასათ და სუფთათ მოწყობილია. წყაროც ლამაზათ არის ამოყვანილი და მის გარშემო წესიერებაც და სისუფთავეც საკმაოთ დაცულია. აბანოები გემოზე მოწყობილია და იქაც სისუფთავეა. ასე რომ ამ მხრით ბორჯომი, როგორც საგარაკო ბინა, პირველხარისხოვან მოაგარაკეთა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

ბორჯომიდან რკინის გზის ლიანდაგი მიდის ბაკურიანისკენ. თორმეტი ვერსის მანძილზე შეგხვდებათ საგარაკო სოფელი **წაღვერი**. წაღვერში მთავარ მართებლის ვორონცოვის დროს მთავრობას ჩამოუსახლებია მოლოკნები. მოლოკნებს არაფრათ მოსწონებიათ ეს ადგილი და აქ მოსახლობა ვერ მოუხერხებიათ. მთის სიცივეს და უდაბურ ტყეებში მარტოობას ძაან შეუშინებია ჩამოსახლებული რუსები და მალე ჩრდილოეთისკენ გაბრუნებულან. დარჩენილა ორი სამი მოხელე და აი მათი შთამოება წაღვერში დღესაც შეგხვდებათ, თუმცა მათ რუსობა არც სახეზე, არც ენაზე აღარ ეტყობათ, მხოლოდ გვარი-ღა შერჩენიათ მათ რუსის, მაგ. დრობიშოვი, მარტინენკო და უსტინენკო. ეს დარჩენილი ოჯახები ადრევე დანათესავებიან სოფელ სისორეთში (გორის მაზრაა და სხვაზე ეს უფრო ახლოა წაღვერიდან) შოშიაშვილებს და ამ შერეული ქორწინებისაგან წარმომდგარან დღეს ქართულად მოლაპარაკე რუსული გვარი წაღვერის მოქალაქენი.

გარდა გადმოსახლებული რუსებისა, წაღვერში დიდი ხნიდან დასახლებულან წიფადან შემთხვევით გადასული იმერელი გლეხები ნოზაძეები და სხვანი. ისინი დაპატრონებიან სამოსახლოებს და მესაკუთრეთ ითვლებიან, თუმცა საყანეები იჯარით აქვთ აღებული. ერთ დროს ამათი ხიზნათ ჩარიცხვა სდომებიათ, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მოძრაობის დროს მთავარს განკარგულება გაუცია, რომ მცხოვრებლებს ოჯახში სახმარი შეშა და საბალახე უსასყიდლოთ მიეცესო. ეს განკარგულება დღესაც ძალაშია, გლეხები ამ მხრით კმაყოფილი არიან. სწორეთ იმ დღეს, როცა იქ ვიყავი, მოვიდა ამბავი, რომ წაღვერს გაღმა მხრით ტყეს ცეცხლი უკიდია და ხალხი გაიწვიეთ დასაქრობათო. გლეხმა მითხრა: —პირობა გვაქვს დადებული, ყოველმა მოსახლემ თითო კაცი უნდა გაგზავნოს ცეცხლის დასაქრობათო, მაგრამ თუ საჭიროება დავინახეთ ყველა წავალთო, რადგან ისე ვეფერებით ამ მთას, როგორც ჩვენ საკუთარსო. წაღვერი მდებარეობს ორ მთის შუა დაბლობზე—ქვაბში. აღმოსავლეთით ნაცრისფერი კლდე ჰიშკარივით არის აყუდებული. გარშემო მდებარე მთების კალთებში ბევრი წყაროა, მათ შორის ორი მჟავე წყლისაა, რასაც ყველა სიამოვნებით მიირთმევენ. რა დროსაც უნდა მიხვიდეთ, მჟავე წყლის სათავეში, ყოველთვის ნახავ სკამებზე ჩამწკრივებულ ხალხს, ათასნაირი სასასმოთი ხელში წყაროსკენ მაყურებელს, ხან ერთი მივა წყაროსთან, ხან მეორე ზოგნი არიდებენ კბილებს მჟავე წყალს და სასასმაში ჰქის მარილი აქვსთ ჩადებული და იმით ეწაფებიან მჟავე წყალს.

წაღვერის აგარაკში, ბორჯომთან შედარებით სულ სხვა სული ტრიალობს. აქ მეორე ხარისხოვანი მოაგარაკენი ყოფილან, რომელთაც [illegible] ტერესებსთ [illegible] კომფორტი;— მოაგარაკეთა შორის დიდი [illegible], უბრალოთ ჩაცმული [illegible] სეირნობენ. თუმცა უბრალო ცხოვრება და თავისუფალი სული ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მეორე მხრით, ბინებს, ქუჩებს და ეზოებს დიდი უსუფთაობის დაღი აზის, ასე რომ რას იზამს ფიჭვისა და ნაძვნარს ჰაერი და მჟავე წყლის გავლენა, თვარა ამ ბინებში ყოფნა ავათმყოფს კი არა კარგა მყოფსაც დაასუსტებს. სოფლური ელფერი წაღვერის ღირსებას შეადგენს, მაგრამ წესრიგის მხრით ეს აგარაკი უყურადღებოთ ყოფილა დატოვებული. თუ რამე უწესოება მოხდა და უთანხმოება ჩამოვარდა მოაგარაკეთა გინდ მოქალაქეთა შორის თურმე ტყაჩოს უნდა მიმართონ წესიერების აღსადგენათ—და რადგან ეს ტყის მცველი ხშირათ ტყეში მოგზაურობს, ბარათ მყოფ მოქალაქეთ ლოდინი და უმართებთ საკვირველი წესია სწორეთ..

წაღვერიდან მატარებელი მიყვება მთის კალთას მიხვეულ-მოხვეული გზით. ორსამ შემთხვევას შემდეგ ახვალთ ერთ მაღლობზე, სადაც დაცემული ვაკეა და საგარაკო ბინებია მოწყობილი—ეს არი დიდი ცემი. თუმცა მდებარეობით ცემი კარგი ადგილია და ფიჭვის ტყის ნაპირზე მოხდენილი სასეირნო კუთხეებითაა შემკული, მაგრამ უწყლობა დიდი ნაკლია ცემისა და აქ უფრო ავათმყოფების ბინაა ვიდრე კარგათ მყოფებისთვის. ცემიდან სულ პირაღმა მიდის რკინის გზის ლიანდაგი. მშვენიერ სურათს წარმოადგენს სქელ ტყეში მიხვეულ-მოხვეული არშიასავით დაკეცილი რკინის გზის ლიანდაგი, რომელზედაც მიიკლაკნება ხალხით სავსე მატარებელი. გზის ორივე მხრით სქელი ნაძვის ტყეა, რომელიც ადამიანის ხელს ჯერ არ გაუნადგურებია და ამიტომაც მას ბუნებრივი სილამაზე სიმშვენიერე არ წართმევია. ტყეებში შიგა და შიგ მოატანთ თვალს პატარა რგვალ მინდვრებს, სადაც მაღალი მწვანე ბალახი ბიბინობს. მიიკლაკნება მატარებელი, თანდათან მაღლა ადის თანაც უხშირებს კივილს, თითქო თავის გაჭირვებას გულშემატკივარ მგზავრებს ატყობიებსო და ტვირთის შემსუბუქებას ეხვეწება. დიდი ცემიდან გაივლის მატარებელი 12 ვერსს და მიადგება სადგურ ნიკოლაევკას. ამ სადგურის მახლობლათ ამართულია ბოძი, რომელზედაც გაკრულია ფიცარი წარწერით—აქიდან იწყება ბილიკი „მომხიბლავი აივანისკენო" გაჩერდება თუ არა მატარებელი ჩამოხტებიან მგზავრები და გაექანებიან ბილიკისკენ. მართლაც, რამდენიმე საჟენის მოშორებით კლდეზე შემოკავებულია რკინის მოაჯირებით აივანი, საიდანაც გადაიხედავთ და საუცხოვო სურათი გაგეშლებათ თვალწინ. დაბლა ვაკეზე ცემს დასჩერებიხართ, ქალში წაღვერია, გარშემო მაღალი მთის წვერები, აყუდებული კლდის ნაპირები. უცებ გეგონებათ, ჰაერში ჩამოკიდებული ხართ და, საცაა შუა მთებში უნდა ჩავარდეთ.

ნიკოლაევკიდან ათი ვერსის მანძილზე მდებარეობს პატარა ცემი და აქიმი ღამბაშიძის სანატორიუმი. ადგილი მოხდენილი მაღალი, ვაკე, დიდი მიდორი, გარშემო სასეირნო ტყეები, ჩინებული შენობა. მატარებელი რომ გაჩერდა ეზოს ჭიშკარს ჟრიამულით მოაწყდენ ბავშვები. მათ სახეზე სიამოვნებას წაიკითხავდით, გაფაცეცებით ატრიალებდენ თვალებს და შეამჩნიათ რამე ახალი და საყურადღებო.

პატარა ცემიდან ვაკე გზით მიექანება მატარებელი და მხოლოდ ალაგ-ალაგ შემოუვლის გორაკებს. 12 ვერსის მანძილზე მდებარეობს ბაკურიანი.

ბაკურიანი ჰაერითა და მდებარეობით სწორეთ პირველ ხარისხოვანი საგარაკო ადგილი ყოფილა. სწორეთ ბაკურიანში იცხოვრებს ის, ვისაც ბუნების სილამაზე და მშვენიერება იტაცებს.

ნამდვილი სუფთა მთის ჰაერი, სივრცელე, თვალგადაუვდენელი სასეირნო მინდვრები, ხელუხლები ხშირი უდაბური გარშემორტყმული ტყე-ველს ერთად სასიამოვნო სურათს წარმოადგენს და ადამიანის გულს იზიდავს. იქვე მახლობლათ მოსჩანს ლამაზათ აღმართული მთის წვერი, რომელიც ხელით ჩამოსხმულ კენდაკებასავით გიდგია თვალწინ. ერთი შეხედვა ბაკურიანის მიდამოების და თავისუფლად ამოსუნთქვა იქაურ მიდორ ტყებში უცებ დაგავიწყებს ქალაქის დახშულ ატმოსფერას და ინსტინკტიურათ გაგრძნო-

---

დ. მემკვიდრეობა, რომლის ძალით, რომელიმე მემკვიდრეობითი თვისება შთამომავლობას ერთს რომელსამე ასაკში გამოაჩნდება.

ასეთია ულმობელი კანონი მკვიდრეობისა. ამ მემკვიდრეობის წყალობით მოხდა კაცობრიობის თანდათანობით განვითარება და ბოლოს მიღწევა იმ გასაოცარ სულიერ და ზნეობრივ განვითარებამდი, რომელზედაც იგი დღეს სდგას.

მაგრამ ამასთანავე მეკვიდრეობის გავლენით მძიმდება და იტვირთება საზოგადოება ავათ მყოფებით, ხორციელოთ და სულიერათ გადაგვარებული წევრებით, რომლებიც აფერხებენ მას წინმსვლელობას და კეთილდღეობას.

ამიტომ ვისაც გულში უღვივის გრძნობა საერთო ინტერესისა და სიყვარულისა და მასთან იცის თავისი მანკიერი შთამომავლობა, ზნეობრივათ მოვალეა სრულებით უარყოს ცოლ-ქმრობის კავშირი და შთამომავლობის შექმნა, თვარა თვითონაც დასტანჯავს სინიდისის ქენჯნა, რა ნახავს თავის ავათ-მყოფ შთამომავლობას, რომელიც არათუ არ იქნება მისი სიბერის ნუგეში, არამედ შეიქნება მიზეზი გამუდმებული გლოვისა და ზარისა.

ზოგიერთი იმ აზრისაა, რომ საჭიროა გამოიცეს ისეთი კანონი, რომელიც აკრძალავდეს ავათ-მყოფ პირთ შეუღლებასაო. ჩვენის აზრით ასეთი კანონი მიზანს ვერ მიაღწევს. ამ შემთხვევაში საჭიროა შეგნება თავისი ზნეობრივი მოვალეობისა და თუ შეაჩერებს ამ გვარ მანკიერ შეუღლებას მხოლოდ ასეთი შეგნება, და არა კანონის ძალის დატანება.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ სომხეთა კათალიკოზმა გამოსცა კანდაკი, რომლის ძალით ყოველმა ახალ-გაზდა ყმაწვილმა უნდა წარუდგინოს ღვდელს ქორწინების წინა დღეს აქიმის მოწმობა, რომელიც უნდა ამოწმებდეს მის საღ ჯანმრთელობას, თუარა და ქორწინება არ შესდგება. როგორც ხედავთ აქ დიადი აზრია, მაგრამ მიზანს, რასაკვირველია, ერთი აქიმის მოწმობა სრულებით ვერ აღწევს. მე თვითონ არა ერთხელ მიმიცია ასეთი მოწმობა, მაგრამ უნდა გამოვტყდე არაოდეს იმ ყმაწვილის შთამომავლობის ისტორია სრულებით არ შემისწავლია, ასე რომ ასეთ მოწმობას მხოლოდ შაბლონური ხასიათი მიეცა.

თუ რაზომის შიშია და მასთან სურვილი საზოგადოებაში, რომ როგორმე თავიდან აიცდინონ მანკიერი წევრები, სხვათა შორის, ჩრდილოეთ ამერიკის ერთი შტატის კანონი გვიჩვენეს, რომლის ძალით იქ ავაზაკებს კოდვენ. რომ მათ მათი მზგავსი შვილები არ გაუჩნდეთ.

ესეთი სასტიკი კანონი ჩვენს განათლებულ დროში სრულებით უადგილოა.

ყველას უნდა ახსოვდეს რომ „ყოველი მზგავსი მზგავსა შობს", თავისი კერძო ინტერესი, თავისი ლტოლვილება უნდა დაუქვემდებაროს საზოგადო სარგებლობას. ამგვარათ, როდესაც შეუღლება მხოლოდ ჯან-მრთელ, მემკვიდრეობით საღ პირთა შორის მოხდება, მაშინ კაცობრიობა, ბუნებრივი შერჩევის ზეგავლენით, თანდათან საღი და უნაკლო შეიქნება და მასთან ბედნიერიც.

**აქიმი ბადრიძე.**

მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ბორჯომის წყალი

| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი |
|---|---|---|---|
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 5[illegible] |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 7[illegible] |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 5[illegible] |

(თავის ქურქლით.)



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა

მოიპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაგზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


ბიებს, რომ სწორეთ ბუნების გულ მკერდში ხარ გახვეული და არც გინდა იქიდან გამოხვიდე...

ტრიფონ ჯაფარიძე.

## შემოწირულება.

სოფ. ნოსირის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს 1913 წ. საწევრო ფული მივიღეთ:

პორფილე დგებუაძისაგან 10 მ., ანდრო გ. კიზირიასაგან 5 მან., პავლე კიზირია და ელენე კიზირიას ასულისაგან სამ-სამი მან., ფილიპე ჩილაჩავა, პორფილე ჩილაჩავა, დიმიტრი ცომაია, და ნესტორ ლექავასაგან—ორ-ორი მან., დომენტი კიზირია, ი. კიზირია, ცუცუ კიზირიასა, გაშრიო (ჩიტუნია) გუდავა, ნადე ფალავასა, ღვ. პორფილე სისორდია, ბაჩუა ფალავას ასული კიზირიასა, დათიკო მილორავა, მიხა ლომაია, მურზა დუდუჩავა, ელპიტი ბარკალაიასა, ვარლამ ბარკალაია, ნიკო კიზირია, მარიამ გუდავასა, ღვ. ბაბილო სისორდია, ქვიპი სისორდია, ნიკანორი ლომაია და ვალერიანე ჩილაჩავას ასულისაგან—თითო მანეთი.

„სახალხო გაზეთის“, „იმერეთის“, „თანამედროვე ქვეყნის“, რუსული გაზ. „День“-ის და ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქციებმა ნახევარ ფასათ დაგვითმეს თავიანთი ორგანოები. „Лучь“-ი უფასოთ შემოსწირა კლემენტი რატიანმა; ქ. შ. წ. კ. გ. ს. სენაკის განყოფილების გამგეობამ იაკობ გოგებაშვილის სახსოვრათ 21 ც. წიგნი 3 მ. 72 კ. ღირებული და ერთიც ი. გოგებაშვილის სურათი გამოგვიგზავნა; ანტონ გუდავამ ბიბლიოთეკისათვის დაქირავებულ სახლის ქირას ორ მანეთამდი დაუკლო.

შენაკრები ფული მივიღეთ: ვლადიმერ ალ გოგებაშვილისაგან 12 მ. 40 კ. ელპიტი ბარკალაიასას—4 მ., ქვიპი სისორდიასას—11 აბაზი და ეპრასია ფალავას ასულისაგან—7 წიგნი 4 მ. და 18 კ. ღირებული.

თითო მანეთი: სარდიონ დუდუჩავა, სამსონ თოფურიძე, ნინო აბრამია, ანდრონიკე თორდია, სარდიონ მოხურასაგან, გრიგოლ ძიძიგური, ოლღა ჩიქოშავასა, არსენი ჩილაჩავა, ლევან აბრამია, ბესარიონ აბრამია, კონდრატე გეგეჭკორი და ორესტი გეგენავასაგან—ათ-ათი შაური; ერმინე ჩიქოშავა, გრიშა ცომაია და ვლადიმერ სიჭინავასგან—თითო აბაზი: მათე კინწურეიშვილი, რაჟდენ დანელია, ერ. ბახუა და ა. გოგიასაგან—ორ-ორი შაური; ბეჩუნია კუპრეიშვილისაგან სამი შაური; მაკულინა ჩიქომავას ასული, ალექსანდრე სალაჩაია და კოსტანტინე შაფათავასაგან—ექვს-ექვსი შაური; კატო შეროხიასა და ოლღა გუნიასაგან—ორ-ორი აბაზი; ელენე მაჭავარიანის ასული, კალისტრატე მოხუა და ეპრასია ფალავას ასულისაგან—თითო ცალი წიგნი; ღვდ. კირილე ჯავახისაგან—ორი წიგნი; სტ. ალექსანდრე ცაგურიასაგან—3 ც. წიგდა ვლადიმერ გოგებაშვილისაგა 6 მანეთი.

ყველა ზემოხსენებულ პირებს და დაწესებულებებს უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

სოფ. ნოსირის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე **ბაგრატ კიზირია.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბატ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით, მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება აღმომიჩინეს აგარაკ ქობულეთში სადამოს გამართვის საქმეში სამკითხველოს სასარგებლოთ: ქ. ბ-ნ მარიამ ნიკოლოზის ასულ ჟორჟოლიანისას, კნ. თამარა აბაშიძეს ლენა ასლანიშვილის, თამარა ასლანიშვილის და მარუსია ჩუბინიშვილის ასულთ; თავ. ციციშვილს, სტუდენტთ: მიშა ჟორჟოლიანს, აპოლონ მესხს და ტერ-მაროკს; პოლკოვნიკ დამაჯირავს, ქრისტეფორე და ვლად. გიორგაძეებს, სპირდონ ჭელიძეს, ბათ. მეგრელიძეს, ჩხიკვიშვილს ცქვიტინაძეს, ნიკ კაშიას, იუსუფ კარგაც ოღლსა და სხვებს.

საღამოს დიასახლისი ნინო ნიკოლოზ ჟორჟოლიანის ასული.

რედაკ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**


## ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის დაგჭირდებათ
# საუკეთესო ცემენტი,
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
## ძმ. ე და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.


**ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.**

ქ. ქუთაისში კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზ. იყიდება მისივე გამოცემა

**ქართული სახელმძღვანელო**

# „საქართველოს ისტორია“

მესამე გამოცემა სურათებით და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. სიმონ ქვარიანის მიერ. წიგნი ღირს ყდით ორი აბაზათ.

**„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“.**

ყოველი ერი მაშინ მიდის წინ და ვითარდება, ოცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას-ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე აით უმეტეს მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის; რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრეს და უსაყვარლეს საგნებს შეადგენენ: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათ განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შოვის, აიხსნება მით, რომ იგი არა აცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნება გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობივვბთ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,

ამ მოსაზრებით აქ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველეს დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტრო და სასულიერო სასწავლებლებში. თავის მარტივი, გასაგები ენით და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემათა ხუთი ათასი ცალი. გვწამს რომ მას შეხვდებიან ჩვენი შოლებში, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველი ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკძის სურათი.

გამომცემული კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.


## ახალი გამოგონება მეცნიერებაში
ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან
# ახალი სითხე უაკმენის ŪŪ
უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ულუროლი ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

# ქ. ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
# ☛ საბუღალტრო კურსები ☛
## გრ. გიგინეიშვილის
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში.
(თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი,)


## რკინის გზა
**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. [illegible] 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. [illegible] საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. [illegible] სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. [illegible] 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. 7 საათ. დილ.
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. [illegible] 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დღ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. [illegible] საათ. 9 წ. დილ.


ქ. ქუთაისში (სობოროსთან
## ა. თაბაგარის მაღაზიაში
☛ 20 ივლისიდან დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა
## ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
●●▣ ფასები ძლიერ დაკლებულია ▣●●

ხრესილი. — სამკურნალო აბანო მეირფასი მთის აერზე ძმ. ყორყოლაძეების — ოქმენი თვალით ნახეთ და დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

# გ. მორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ[illegible] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ მალცევის ბემსკის მ[illegible] ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО[illegible]
## რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.



ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.